პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 13 ივნისი № 135 (17480) ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესია გაიხსნება **1979 წლის 15 ივნისს დილის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს **13 და 14 ივნისს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში,** ოთახები — № 6, № 11. ტელეფონები: 99-08-54, 93-78-01, 99-67-16, 99-56-18, 93-79-50, 93-75-06.

15 ივნისს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება **1979 წლის 15 ივნისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.**

პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობა

საბჭოთა პრესის ძალის წყაროა პარტიის ხელმძღვანელობა, ხალხთან მჭიდრო კავშირი, კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა. პარტიულმა ორგანიზაციებმა, აღინიშნა სკკპ XXV ყრილობაზე, უნდა განახორციელონ ყოველდღიური, კონკრეტული ხელმძღვანელობა პრესისადმი, მიაღწიონ მისი გამოსვლების იდეური დონისა და ქმედითობის ამაღლებას.

ასრულებს რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი სკკპ ტომსკის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ“, სხვა დადგენილებანი იდეოლოგიური მუშაობის აქტუალურ საკითხებზე. ეს დოკუმენტები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები, რომლებშიც აღძრულია ბეჭდვითი სიტყვის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემები, პარტიული კომიტეტებისა და პრესის ორგანოებისათვის სამოქმედო პროგრამა გახდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. მან განსაზღვრა პრესის კონკრეტული ამოცანები დღეისათვის და პერსპექტივისათვის, პარტიულ ორგანიზაციებს მისცა საამქედო ორიენტირი მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა შემდგომ სრულყოფაში.

პრესის მასალების იდეური შინაარსი, სიღრმე და ქმედითობა უშუალოდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ყურადღებას იჩენენ პარტიული ორგანოები თავიანთი გამოცემებისადმი. ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნების მიხედვით მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ პრესის, ტელევიზიისა და რადიოგადაცემების ხარისხი, სრულად გამოვიყენოთ ისინი ხუთწლედის დავალებების შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისა და მასების კომუნისტური აღზრდისათვის.

განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს ისეთი საკითხების გაშუქება, როგორიც არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება, მასალებისა და ფულადი რესურსების უმკაცრესი მომჭირნეობა. ეს საკითხები გაზეთებმა უფრო მწვავედ, უფრო პრინციპულად უნდა დასვან. ამასთან საჭიროა დროულად გავაშუქოთ მოწინავე გამოცდილების არსი, ხელი შევუწყოთ მის ფართო გავრცელებას. საქმე იმას ეხება, რომ თვისებრივად გავაუმჯობესოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა.

ახლა პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და აქტივებზე, რედაქციათა კრებებზე წარმოებს საქმიანი სჯა-ბაასი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ. სწორად მოიქცევიან იქ, სადაც გეგმებში გაითვალისწინებენ იმ ახლის შემდგომ განვითარებას, რაც უკანასკნელი წლების მანძილზე გაჩნდა სარედაქციო კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებში. ეს არის პროპაგანდისა და ინფორმაციის სხვადასხვა ორგანოს მუშაობის ძირითად მიმართულებათა ზუსტი განსაზღვრა, მათი მეცადინეობის კოორდინაცია, ჟურნალისტთა მრავალმხრივი ინფორმირება. ეს არის პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში საჯაროობის ლენინური პრინციპის სულ უფრო თანმიმდევრული პრაქტიკული განხორციელება. ეს არის ყოველდღიური ზრუნვა პრესის გამოსვლების ეფექტიანობისათვის, პარტიული კონტროლი ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციების შედეგიანობისადმი, მათ გარშემო ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა.

ჟურნალისტთა შრომა რთულია, დაუცხრომელ შემოქმედებითს ძიებასთან, მკითხველთა აუდიტორიის წინაშე დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. იგი ეფუძნება კომპეტენტურობას, პუბლიცისტურ ოსტატობას, რომელიც შეხამებულია მაღალ იდეურ-ზნეობრივ თვისებებთან, გარკვეულ მამაცობასთან. როცა ვუყენებთ მოთხოვნებს პრესის მუშაკთა იდეურ და პროფესიულ ზრდას, ჟურნალისტებს უნდა ვუნერგავდეთ პოლიტიკურ შებრძოლთა ხასიათს, ვამაღლებდეთ მათს ავტორიტეტს, კრიტიკაზე მცდარი რეაგირების ნებისმიერ ფაქტს, ადგილებიდან მიღებულ საგანგაშო სიგნალებს პარტიული ორგანოები მწვავედ და ოპერატიულად უნდა გამოეხმაურონ. ამავე დროს, პარტიულმა კომიტეტებმა, რომლებიც ხელს უწყობენ პრინციპული, კონსტრუქციული კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, აღნიშნულია დადგენილებაში, უნდა აამაღლონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ფაქტების გაშუქებისადმი მკაცრი და ობიექტური მიდგომისათვის, დადებითი და კრიტიკული შეფასებების დასაბუთებისათვის. კრიტიკული სიგნალების, აგრეთვე მოწინავე გამოცდილების ამსახველი მასალების მიხედვით პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოქვეყნება პრესის გამოსვლების ქმედითობის გაძლიერების ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია.

პარტიული ხელმძღვანელობის დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მკითხველთა აუდიტორიაზე, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე პრესის გავლენის ეფექტიანობის შესწავლა. ასეთი კონკრეტული, გამიზნული სოციოლოგიური კვლევა — იგი წარმოებს მოსკოვში, საქართველოში, მოლდავეთში — ხელს უწყობს მკითხველთა მოთხოვნილებების უფრო სრულ გამოვლენას, პუბლიკაციათა ინფორმაციული ტევადობის გადიდებას, მათი თემატიკისა და უანრობრივი მრავალფეროვნების გაფართოებას. მკითხველთა აუდიტორიის შესწავლამ შეიძლება ხელი იმასაც შეუწყოს, რომ გამოცემები არ იმეორებდნენ ერთმანეთს, თითოეულს ჰქონდეს თავისი „სახე“, ძირითადი თემების თავისი წრე.

პარტიული კომიტეტები სარედაქციო ფოსტის შინაარსის კურსში უნდა იყვნენ. წერილები, აზრები, გამოხმაურებანი ახალი თემების, სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა უბანზე საქმის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უშრეტი წყაროა. მათ ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, გამოვაქვეყნოთ ყველაზე მნიშვნელოვანი, სარედაქციო ფოსტის ანალიზისა და განმარტებისათვის მოვიზიდოთ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო, რომ მინისტრები, ცენტრალური და რესპუბლიკური უწყებების ხელმძღვანელები რეგულარულად გამოდიოდნენ პრესაში, ტელევიზიით და რადიოთი, უპასუხებდნენ მშრომელთა კითხვებზე. ჟურნალისტები ელიან პარტიული კომიტეტების დახმარებას ასეთი გამოსვლების მომზადებაში. ზოგჯერ ცალკეულ ხელმძღვანელებს ძნელად თუ დაიყოლიებ, რომ დაწერონ რაიმე გაზეთისათვის ან მონაწილეობა მიიღონ ტელეგადაცემაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭირო ხდება მშრომელთა მწვავე კითხვებზე პასუხის გაცემა, მათი ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ხარვეზების განმარტება. თანამედროვე იდეოლოგიურ და პოლიტიკურ-აღმზრდელობითს ამოცანებთან შეუთავსებელია მისწრაფება, როცა მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ წარმატება უპატაკონ და თავს არიდებენ. თვითკრიტიკას.

პარტიას პრესა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანეს იარაღად, როგორც ვ. ი. ლენინი განსაზღვრავდა, საერთო პარტიული საქმის ნაწილად მიაჩნია. დაუცხრომლად უნდა ვიღაწოდეთ, რათა ჩვენი პრესა იყოს მასების მებრძოლი კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ПРАВДА

12 ივნისის მოწინავე

მიფრინავს „კოსმოს-1106“

1979 წლის 12 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1106“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევას სსრ კავშირის სანალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მოლაპარაკება

მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ორმხრივი ნდობის ნიშნით

11 ივნისს კრემლში მოლაპარაკებას შეუდგნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მორარჯი დესაი.

მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარე მოლაპარაკების დროს ფართოდ განიხილეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა, რომელიც წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის 1971 წლის ხელშეკრულების შესაბამისად, აგრეთვე აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, კერძოდ, აზიის მდგომარეობა.

საერთაშორისო პრობლემების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომი გაძლიერების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საკითხებს, გამაღებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების აქტუალურ ღონისძიებებს. აღინიშნა, რომ გამაღებული შეიარაღების დამკვიდრებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებას, რომლის დადებასაც აპირებენ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხელმძღვანელთა ორმხრივი ვიზიტები, მათი პირადი კონტაქტები რეგულარულ, სტაბილურ ხასიათს იძენს და კარგ ტრადიციად დამკვიდრდა. ყოველი ასეთი შეხვედრა ახალ იმპულსს ანიჭებს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობას ყველა დარგში.

მოლაპარაკება გაგრძელდება.

სურათზე: შეხვედრის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ხელი მოაწერეს დოკუმენტებს

12 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის დოკუმენტების ხელმოწერა.

ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის განცხადებას. დოკუმენტს ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მ. დესაიმ.

ხელმოწერილია აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობისა და ინდოეთის მთავრობის შეთანხმება ვიესკაპატნამის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ. მას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ვ. არხიპოვმა და ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ვ. ვაჯპაიმ.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ნ. ა. ტიხონოვი, ვ. ი. დოლგიხი, კ. ვ. რუსაკოვი, მ. ს. გორბაჩოვი, სსრ. კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი;

ინდოეთის მხრივ — ინდოეთის პრემიერ-მინისტრის თანამხლები სახელმწიფო მოღვაწენი.

ამავე დღეს მ. დესაი იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკო იგი. მ. დესაიმ გვირგვინი მიიტანა აგრეთვე კრემლის გალავანთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა საუზმე გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმის დროს მ. დესაიმ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 11 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მ. დესაის პატივსაცემად.

მ. დესაისთან ერთად სადილად იყვნენ მისი თანმხლები ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწეები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სადილზე სიტყვა წარმოთქვა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო!

პატივცემულო ინდოელო სტუმრებო!

ამხანაგებო!

მოხარული ვართ, რომ კვლავ გხედავთ მოსკოვში თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მეგობარი ინდოეთიდან ჩამოსულო სტუმრებო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ახლანდელი შეხვედრა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირ-ინდოეთის წინანდელი უმაღლესი დონის შეხვედრები, ნაყოფიერად, ორმხრივი ნდობისა და ურთიერთგაგების ნიშნით ჩაივლის.

თქვენს დიად ქვეყანასთან, შეიძლება ითქვას, ტრადიციული მეგობრობა გვაკავშირებს. წლითიწლობით სსრ კავშირისა და ინდოეთის თანამშრომლობა 1971 წლის ხელშეკრულების მტკიცე საფუძველზე სულ უფრო ღრმა და მრავალმხრივი ხდება. ეს შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს.

სსრ კავშირისა და ინდოეთის ხელმძღვანელთა შეხვედრის დროს ჩვეულებრივ მოლაპარაკების ცენტრში აღმოჩნდება ხოლმე როგორც ორმხრივი ურთიერთობის, ისე საერთაშორისო ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა.

უწინარეს ყოვლისა უნდა მოგახსენოთ აზიის მდგომარეობის შესახებ. ვფიქრობ, რომ ორივე ჩვენს ქვეყანას აქვს ამის გამო შეშფოთების საფუძველი. ჩინეთის ამასწინანდელი აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ, მისი განუწყვეტელი მუქარა, რომ კვლავ ხელში აიღებს იარაღს ზოგ-ზოგების „ჯაჭვის სასწავლებლად“, — ყოველივე ეს უაღრესად ართულებს ვითარებას და არცთუ მცირე საფრთხეს უქმნის აზიის ქვეყნებს. ცხადია, პეკინის მიზნების მიმართ კიდევ უფრო მეტ ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ მან გააუქმა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის ხელშეკრულება.

მართალია, ახლა დიდი ბჭობაა იმაზე, რომ იქნებ მოეწყოს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკება, რათა მათი ურთიერთობა უფრო ნორმალური კალაპოტით წარიმართოს. ჩვენ დიდი ხანია გვინდა ასეთი მოლაპარაკება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაცია მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. ჩვენ ისიც გვინდა, რომ არც ერთმა მხარემ არ ცნოს ვისიმე პრეტენზიები მსოფლიო საქმეებში განსაკუთრებულ უფლებებსა და ჰეგემონიაზე. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად სერიოზულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ზრახვები.

აზიის ვითარებას ვერ გააუმჯობესებს ვერც ავღანეთის საშინაო საქმეებში ჩარევის მუდმივი — საიდუმლო თუ აშკარა — ცდები. ჩვენ გადაჭრით ვამობთ ძირგამომთხრელ მოქმედებას ავღანეთის რევოლუციის წინააღმდეგ და უბედურების დროს ზურგს არ შეეაქცევთ ჩვენს მეგობარ ავღანელ ხალხს, რომელსაც უფლება აქვს ისე აშენოს ცხოვრება, როგორც მას სურს.

ახლა რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის შესახებ, რომელიც ამ დღეებში დაიწყება ვენაში. ჩვენ, კერძოდ, უნდა დავამტკიცოთ და ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ეს მეტად მნიშვნელოვანი ერთობლივი ნაბიჯი იქნება გამაღებული შეიარაღების შეკავების გზაზე. მის მნიშვნელობაზე უკვე ბევრი რამ თქმულა და, როგორც ჩანს, კიდევ ითქმება.

აქ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო საერთოდ ვენის შეხვედრის პოლიტიკური მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა რამდენიმე წლის წინათ იკისრეს ორმხრივი ვალდებულებანი, რომ თავიანთ ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები და ყველაფერი იღონონ ბირთვული ომის დაწყების აღსაკვეთად. ჩვენ ვისურვებდით, რომ მომავალი შეხვედრა (სხვათა შორის, პირველი ამ ხუთი წლის მანძილზე) საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის სწორედ ამ საფუძველზე განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი გამხდარიყოს. ჩვენი მხრივ ამისათვის არაფერს არ დაეზოგავთ. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის უზენაესი მიზანია მშვიდობის განმტკიცება, ახალი ომის საფრთხის შენელება, შეიარაღების ტვირთის შემსუბუქება, რომელიც კისრად აწევს ხალხებს.

რამდენადაც მესმის, იგივე მიზნები აქვს ინდოეთსაც. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირს სურს მეგობარი ინდოეთი იხილოს ძლიერ და აუვავებულ სახელმწიფოდ, რომე-

(დასასრული მე-2 გვ.).

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა მ. დესაის

12 ივნისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს მორარჯი დესაის.

შეხვედრაზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხები.

სურათზე: საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის განცხადებაზე ხელის მოწერის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

აკადემიკოსთ მეცნიერების როლი კანონიერების განმტკიცებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი სოციალისტური კანონიერებაში, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში მეცნიერების როლის ამაღლებისა და რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის პრაქტიკაში მეცნიერების და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის შესახებ.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებმა განახორციელეს ღონისძიებანი, რათა ამაღლდეს მეცნიერების როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში, დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრებმა და დამნაშავეობის სოციოლოგიის საფაკულტეტთაშორისო ლაბორატორიამ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოძრაობის უსაფრთხოების დარგობრივმა ლაბორატორიამ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დაცვის ეკონომიკურ-სამართლებრივ პრობლემათა ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საქართველოს განყოფილებამ შეასრულეს და გამოსცეს მთელი რიგი ფუნდამენტური ნაშრომები სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე, რომლებსაც დიდი სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

ზოგიერთმა ადმინისტრაციულმა ორგანომ განამტკიცა კავშირი სამეცნიერო დაწესებულებებთან. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არბიტრაჟის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ მეცნიერები, რომლებიც კვალიფიციურ დახმარებას უწევენ იურისტებს პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში.

მაგრამ მიზნები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დაუსახეს პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონე იურიდიულ, კრიმინოლოგიურ და სხვა მეცნიერებათა წინაშე აყენებენ ახალ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაში სერიოზული ნაკლოვანებანი შეიმჩნევა.

მეცნიერების, მეტადრე იურისტების, მუშაობა სუსტად უკავშირდება პრაქტიკას, მეცნიერული კვლევის თემატიკაში ნაკლებად არის საკითხები, ადმინისტრაციული ორგანოების საჭიროებებს რომ ითვალისწინებდნენ.

თითქმის არ წარმოებს მეცნიერული კვლევა მსჯავრდებულთა აღზრდა-გასწორების ეფექტიანობის ამაღლების, ნარკომანთა მკურნალობისა და აღზრდა-გასწორების მეთოდების სრულყოფის, არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის თავიდან აცილების საკითხებზე. ნელა ინერგება ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ორგტექნიკის საშუალებანი და მართვის ავტომატიზაცია.

ვერ არის დამაკმაყოფილებელი ვერც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის დონე, მჭიდ პროფილაქტიკის კომპლექსურ ღონისძიებათა მეცნიერული შემუშავების საქმე.

არის აგრეთვე მეთოდოლოგიური ხასიათის ნაკლოვანებანი. იმის მაგვარად, რომ სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობის გამომწვევი საზოგადოებრივი პროცესები იკვლიონ და ამა თუ იმ ნორმების გამოყენების პრაქტიკული შედეგები შეისწავლონ, ცალკეული მეცნიერები კანონის ზერელე კომენტირებას სჯერდებიან.

სწკმარისი ყურადღება არ ეთმობა მეცნიერული კვლევის კოორდინაციას, იურისტებს არა აქვთ დამყარებული სათანადო შემოქმედებითი კონტაქტები ეკონომისტებთან, ფილოსოფოსებთან, კერძოდ, ფსიქოლოგებთან, მათემატიკოსებთან, კიბერნეტიკოსებთან.

არ შეესაბამება საბჭოთა კრიმინალისტიკის თანამედროვე მოთხოვნებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საქმიანობა. აქ კვლევა დაბალ დონეზე წარმოებს, გამოქვეყნებული პროდუქცია არ წარმოადგენს მნიშვნელოვან მეცნიერულ ღირებულებას — ექსპერტიზის მასალების მიხედვით ლაბორატორიას იშვიათად შეაქვს კომპეტენტური ორგანოებში წინადადებანი სამართალდარღვევათა თავიდან აცილების შესახებ. ამ სამეცნიერო ორგანი-

(დასასრული მე-2 გვ.).

ავამაღლოთ მეცნიერების როლი კანონიერების განმტკიცებაში

(დასასრული)

ზაციაში ერთი თანამშრომელიც კი არ არის, სამეცნიერო ხარისხი რომ ჰქონდეს. ანალოგიური ნაკლოვანებანი ახასიათებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების მუშაობას.

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში სუსტად ინერგება მეცნიერული კვლევის შედეგები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში მეცნიერების შკირე ეფექტიანობა იმითაც აიხსნება, რომ სამართალდამცველი ორგანოები არ იჩენენ ჯეროვან დაინტერესებას, რათა თავიანთ მუშაობაში ჩაებან მეცნიერები, დიფერგონ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები. ადმინისტრაციული ორგანოები არ მონაწილეობენ მეცნიერული კვლევის დაგეგმვასა და ორგანიზაციაში.

საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ არ უზრუნველყოფენ სახელმწიფოს, სამართლის, კრიმინოლოგიისა და, დამნაშავეობის სოციოლოგიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი მეცნიერული და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გამოცემას.

სამეცნიერო დაწესებულებებისა და ადმინისტრაციული ორგანოების პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მათი შემოქმედებითი თანამეგობრობის განმტკიცებას, არ ზრუნავენ პრაქტიკულ საქმიანობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვისთვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაავალა გაწსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევის განვითარებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების საქმეში; მოაგვარონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, აგრეთვე სხვა სამეცნიერო დაწესებულებების შემოქმედებითი კონტაქტების კოორდინაცია და განამტკიცონ მათი ურთიერთობა, გააფართოონ საქმიანი კავშირი ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან და რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებთან.

უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური და საკავშირო კონფერენციების, სიმპოზიუმების, თათბირის მოწყობა. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სამეცნიერო კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა ასპირანტურაში, აგრეთვე ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში სტაჟირების გზით.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს დაევალა შეისწავლოს საკითხი და წარმოადგინოს შესაბამისი წინადადებანი იმის შესახებ, რომ აკადემიის სისტემაში შექმნას სამართლის, დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი; განიხილოს საკითხი ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის კადრებით გაძლიერების შესახებ; უზრუნველყოს, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების გეგმა შეესაბამებოდეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მოთხოვნებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს (ამხ. დ. ი. ჩხეიკვაშვილი) წინადადება მიეცა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი იურიდიული ფაკულტეტის კათედრების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გააქტიურებისათვის, მიაღწიოს, რომ ეს მუშაობა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საჭიროებებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს (ამხ. ა. ა. შუშანაშვილს) დაევალა განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ (ამხ. გ. ი. გვეტაძემ) უნდა განახორციელოს ღონისძიებანი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობის სრულყოფისათვის.

საქართველოს სსრ პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს (ამხ. ა. მ. ბარამიძეს, გ. ი. გვეტაძეს, ა. ა. შუშანაშვილს, ა. გ. კარანაძეს) დაევალათ გააქტიურონ მუშაობა, რათა გაძლიერდეს საქმიანი ურთიერთობა რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებთან იმ გზით, რომ ჩაებან მეცნიერები კოლეგიის მუშაობაში, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოებში, უზრუნველყონ ისინი მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციით და ფართოდ გამოიყენონ კვლევის შედეგები ყოველდღიურ საქმიანობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გათვალისწინებულია აგრეთვე სხვა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მეცნიერების როლის ამაღლებას სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვისა და ეფექტიანობის ამაღლებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის.

ორმხრივი ნდობის ნიშნით

(დასასრული)

ლიც თავის შესაფერის დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს ახლისა და მსოფლიოს საქმეებში.

ვადიდებ დიდ ინდოელ ხალხს, ბატონ პრემიერ-მინისტრს, ჯანმრთელობას და წარმატებას ვუსურვებ ინდოელ სტუმრებს!

ურღვევი ყოფილიყოს ჩვენი ხალხების მეგობრობა!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას!

სპასუხო სიტყვა წარმოთქვა მ. დესაიმ.

მ. დესაის სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ პრემიერ-მინისტრო ინდირა განდი!

ქალბატონებო და ბატონებო!

ბედნიერად ვმაყოფილებას ბედნიერ, რომ კვლავ ძველი მეგობრების წრეში ვარ. ჩვენი ერთობა და გულითადი ურთიერთობა ერთიანებს ხშირად შეეხვედრ ხოლმე ერთმანეთს, რომ აზრთა გაცვლა გაწყვეტილმა გაზიარებამ ახალი სტიმულები მიანიჭოს ჩვენს მრავალმხრივ თანამშრომლობას.

თქვენო აღმატებულებანო! ავუხვეთ ვიზიარებთ თქვენს ოპტიმიზმს, ჩვენი ახლანდელი ურთიერთობის საკითხში. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩემი მთავრობა თანამიმდევრულად ახორციელებდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შემდომი გაღრმავებისა და გამდიდრების პოლიტიკას. გრძელვადიანი პროგრამის ხელმოწერა, ვიოსკასპანიის მიტალურგიული ქარხნის შესახებ დასახული შეთანხმება და ინდოეთის მეორე თანამგზავრის გაშვება როგორც ინდოელი და საბჭოთა მეცნიერების ერთობლივი მეცადინეობის მაგალითი — ყოველივე ეს მოწმობს, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი გავფართოოთ ჩვენი პარტნიორების ჰორიზონტები.

ჩვენმა ამასწინანდელმა ბჭობამ კვლავ იხილა, რომ ჩვენს კავშირურთიერთობას საფუძველად უდიას სულ უფრო ფართო ერთობლივი ინტერესებისა და მიზნების შეუქცევადი განვითარება, შეგიძლიათ მერწმუნოთ, რომ ინდოეთის სახით საბჭოთა კავშირს ჰყავს საიმედო მეგობარი, რომლის პოლიტიკაც მერყევ კონიუნქტურულ მოსაზრებებსა თუ დროებითს უპირატესობებს კი არ ეფუძნება, არამედ გულთბილობის, კეთილი ნებისა და ერთმანეთის ინტერესების ცნობის მტკიცე საფუძველი აქვს. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი ახლანდელი ვიზიტი კიდევ უფრო განამტკიცებს ამ ღრმაზროვან გრძნობებს.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ამ ვიზიტის დროს შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი დიადი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახიარ ნაწილს. ამან ძომგანა ჩვენი ისტორიული ურთიერთობა შუა აზიასთან და საშუალება მომცა უფრო ღრმად შემეგნო, რომ საბჭოთა კავშირი მარტოდენ ჩვენგან დაშორებული ევროპული ქვეყანა კი არ არის, არამედ ახლო შეგობარიც, რომელიც სისხლხორცეულად დინტერესებულია თავისი მეგობრების სტაბილურობით, კეთილდღეობითა და აყვავებით.

თქვენმა აღმატებულებებმა იციან, რომ ინდოეთი კვლავინდებურად მტკიცედ იცავს მეუმეხრობლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. ჩვენ ვცდილობთ შევინარჩუნოთ მეუმეხრობლობის მოძრაობის შეკავშირება და „ეგიანობა იმ უთანხმოებათა მიუხედავად, რომლებიც, სამწუხაროდ, მისი ერთიანობის შენელების საფრთხეს ქმნის.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სიხარულით ვადევნებდით თვალს, რომ მნიშვნელოვნად შენელდა დაძაბულობა ჩვენი რეგიონის ქვეყნების ურთიერთობაში. თქვენ იცით, თუ რა მტკიცე ღონისძიებებს ახორციელებს ჩემი მთავრობა სუბკონტინენტზე ნდობისა და კეთილმეზობლობის კლიმატის შესაქმნელად. ვმაყოფილი ვართ, რომ ჩვენმა ინიციატივებმა დასაბამი მისცა სუბკონტინენტზე მშვიდობისა და თანამშრომლობის ერას. ბევრი რამ უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ომოოჯეზრად კოლონიური მართვა-გამგეობის ათწლეულების მანძილზე დაგროვილი ბოროტებანი ბოლოს და ბოლოს ოთხ ათწლეულზე მეტია მაყურებლებს მაღალ ხელოვნებასთან შეხვედრის სიხარულს გვრის.

— ხალხისათვის სამსახური, — თქვა მან, — ჩვენი საპატიო ვალია. ჩვენ უერთმანეთოდ ვერ ვიარსებებთ, თქვენ ხართ ჩვენი შთაგონების წყარო, თქვენგან ვსწავლობთ ცხოვრებას. თეატრისა და მაყურებლის თანამეგობრობის ტრადიციებს საქართველოში სახელოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ქართული საბჭოთა თეატრის გარიჟრაჟზე კოტე მარჯანიშვილი ასეთ კავშირს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან იგი მიაჩნდა ხელოვნების განვითარების, პიროვნების ჰარმონიული განვითარების ცხოველმოქმედ წყაროდ.

ამ აზრის გაგრძელება იყო საქართველოს კულტურის მინისტრის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ოთარ თაქთაქიშვილის სიტყვები:

— საბჭოთა ადამიანების სულიერი კულტურის ზრდა მათი ყოველმხრივი ესთეტიკური განვითარების აუცილებელი პირობაა. დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ასეთი კავშირი — ხელოვნებისა და შრომის კავშირი, რომლის დროს ყველას შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ არის შემოქმედი პიროვნება, რომ შეაქვს სიახლე თავის შრომაში, მთელი საზოგადოების შრომაში. უამისოდ წარმოუდგენელია ის საერთო სულიერი კულტურა, რომელიც საბჭოთა მშრომელს ჰარმონიულს ხდის. სწორედ ასეთი ადამიანია ჩვენი საზოგადოების მიზანი. სწორედ ამიტომაც, ვკითხულობთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სტრიქონებს, მასში ვპოულობთ იმ მთავარს, რაც უაღრესად საჭიროა ჩვენთვის ყოველდღიურ მუშაობაში, რაც ჩვენს წინაშე სახავს პერსპექტივას.

შემდეგ საქართველოს კომპარტიის საქარხნო რაიკომის პირველმა მდივანმა რ. გოგლიძემ და რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. იგი, კერძოდ, ითვალისწინებს მუშათა კლასის, მისი ახალგაზრდა ცვლის იდეურ აღზრდაში კულტურის დაწესებულებათა დახმარების გაააქტიურების კონკრეტულ ღონისძიებებს, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებისათვის ყოველმხრივ დახმარებას, საღამო-კონცერტების ჩატარებას საუკეთესო საშემსრულებლო ძალების მონაწილეობით, ლექციებსა და საუბრებს ხელოვნების საკითხებზე. ხელშეკრულების დადებას დაესწრენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტ. როსტიაშვილმა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ხაზი გაუსვა ამ დოკუმენტის მნიშვნელობას და თქვა: „დღეს ჩვენ დიდი და შთამბეჭდავი დღესასწაული გვაქვს. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან ურთიერთობას, მჭიდრო კავშირს მეოდა უდიდესი სიხარული მოჰქონდა მუშაკაცისათვის. გვჯერა, რომ კულტურის ოსტატები ყურადღებას არ მოაკლებენ ჩვენ შრომლიური ქარხნის გმირულ ისტორიასა და საქმეებს. ვიწვევთ მწერლებს, მსახიობებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, კინოს მოღვაწეებს. გამართეთ ჩვენთან ოქვენი ნაწარმოებების გამოფენები, გასინჯვა, განხილვა — ეს გამდიდრებს მუშებს და, იმედი გვაქვს, რომ ხელს შეუწყობს შემოქმედებაში ხელოვნების მოღვაწეებსაც.

თბილქალაქმშენის № 15 სამშენებლო ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტ. ქართველიშვილმა თქვა: მშენებლობა მშენებლობაა — აქ მუშაობა წინა პლანზე დგას, მაგრამ გვინდა, რომ ჩვენს მუშურ ცხოვრებაში მეტი ადგილი დაიკავოს ხელოვნებამ. რა ბევრ რამეს ნიშნავს ჩვენთვის საყოველთაოდ ცნობილი მსახიობის, მუსიკოსის, მომღერლის სტუმრობა! რაოდენ გვჭირდება ჩვენ, მშენებლებს, ეგრძნობდეთ ტალანტის შთამაგონებელ სიახლოეს!

ლექტორიუმის გახსნის დღეს ოპერისა და ბალეტის თეატრში, რომლის აღდგენაში დიდი მონაწილეობა მიიღეს საქარხნო რაიონის მშრომელებმა, გამოვიდნენ ქართული ხელოვნების საუკეთესო ოსტატები.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილის ახალი ნაწარმოები „საზეიმო უვერტიურა“ შეასრულა ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრმა, რომელსაც ავტორი დირიჟორობდა. იგი აყალიბდა ჩვენი გმირული დროის, მშრომელი ადამიანის ჰიმნად.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ამირანაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტები გ. საღარაძე და ო. მელვინეთუხუცესი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. უჩანეიშვილი, ლ. ჩიბალაშვილი, ჟ. ლოლაშვილი, თ. ჩანტლაძე და სხვები. ნაჩვენები იყო თბილისის თეატრების სპექტაკლების „ოდიპოს მეფის“, „ყაჯაისური ცარცის წრის“, „გედის ტბის“ სცენები.

თაობათა მემკვიდრეობა თობის დასტურად გაისმა ახალგაზრდა შემსრულებელთა საკავშირო დათვალიერება-კონკურსის ლაურეატის აკორდეონისტ ხომერიკის და გლინკას სახელობის საკავშირო კონკურსის ლაურეატის ელდარ გეწაძის გამოსვლა, რომლებმაც ოსტატურად შეასრულეს აბესალომისა და მურმანის დუეტი ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“. „ოპერეტრს დირიჟორობდნენ გ. აზმაიფარაშვილი და თ. ჯაფარიძე. მაყურებლებმა კონცერტის მონაწილეებს წითელი მიხაკები და ვარდის თაიგულები მიართვეს.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. ბ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე და თ. ნ. მენთეშაშვილი. (საქინფორმი).

პარტიული კადრების დასახმარებლად

გორი. (საკ. კორ.). ამას წინათ ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა და საზოგადოება „ცოდნამ“ საქალაქო გამგეობამ მოაწყეს თეორიული კონფერენცია. იგი მიეძღვნა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის აქტუალურ საკითხებს, რომლებიც წამოყენებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებში „ბორკომის“, „აღორძინება“ და „ყამირი“.

მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ამ. ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორებმა, ქალაქის მოწონავე პროპაგანდისტებმა, ახალგაზრდობის დამრიგებლებმა.

,,სალუტ-6“ — ,,სოიუზ-32“ — ,,სოიუზ-34“

ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 11 ივნისი. (საკდესი). 15 კვირაა კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი მუშაობენ „სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში.

დღეს სამედიცინო კონტროლის პროგრამით კოსმონავტებმა გაზომეს სხეულის მასა და შეაფასეს კუნთების მდგომარეობა, რომელთა დატვირთვა უწონობაში უმნიშვნელოა.

დღის მეორე ნახევარში „კრისტალის“ დანადგარზე დაგეგმილი იყო კიდევ ერთი საბჭოთა ქვეყნებ-ბულგარეთის კოსმოსური მასალათმცოდნეობის ექსპერიმენტი. ექსპერიმენტის მიზანია უწონობის პირობებში ლითონის მასალების დიფუზიის კვლევა.

დღის განმავლობაში კოსმონავტები აგრეთვე აწარმოებენ დედამიწის ზედაპირისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ვიზუალურ დაკვირვებას, ფიზიკურად ვარჯიშობენ ველოერგომეტრსა და ტრენაჟერზე.

ეკიპაჟის მოხსენებებითა და ტელემეტრიული მონაცემებით, სადგურისა და ორივე ხომალდის საბორტო სისტემები ნორმის ფარგლებშია. ორბიტული კომპლექსის ნაკვეთურების მიკროკლიმატის პარამეტრებია: ტემპერატურა — 21 გრადუსი ცელსიუსით, წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 795 მილიმეტრი.

კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

,,ეს ალბუგლიკის ფარგლებს გარეთ ფართოდ არის ცნობილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის შრომები. ეს სამეცნიერო დაწესებულება ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ნაგებობათა სეისმომედეგობის ყველა საკითხს კომპლექსურად ამუშავებს.

აკადემიკოსმა კ. ს. ბავრიევმა, რომელმაც დაიარსა და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტს, შექმნა ზღვრული მდგომარეობის კონსტრუქციების გაანგარიშების თეორია, რომელსაც საფუძვლად უდევს დინამიკური სეისმომედეგობის პრინციპი. სეისმომედეგობის ამ პრინციპს მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არა, საზღვარგარეთაც იყენებენ.

თბილისელი მეცნიერების მეთოდიკა გამოიყენეს ისეთი დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებზე, როგორიც არის ენგურის, ნურეკის, ჩირკეის ელექტროსადგურები, აგრეთვე ბამზინტიტუტის რეკომენდაციებს იყენებენ მოსკოვის ოლიმპიური მშენებლობებზე.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა, რომლებმაც გააანალიზეს მიწისძვრების შედეგები, დაამუშავეს რაციონალური სეისმომედეგი კონსტრუქციები.

□

სურათზე: ინჟინერი ვლადიმერ სუხოლინინი ლაზერის დანადგარით ეწევა კვლევას.

ფ. ტრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტიული კადრების დასახმარებლად

ბორი. (საკ. კორ.). ამას წინათ ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა და საზოგადოება „ცოდნამ“ საქალაქო გამგეობამ მოაწყეს თეორიული კონფერენცია. იგი მიეძღვნა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის აქტუალურ საკითხებს, რომლებიც წამოყენებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებში „ბორკომის“, „აღორძინება“ და „ყამირი“.

მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ამ. ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორებმა, ქალაქის მოწონავე პროპაგანდისტებმა, ახალგაზრდობის დამრიგებლებმა.

,,ეს ალბუგლიკის ფარგლებს გარეთ ფართოდ არის ცნობილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის შრომები. ეს სამეცნიერო დაწესებულება ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ნაგებობათა სეისმომედეგობის ყველა საკითხს კომპლექსურად ამუშავებს.

აკადემიკოსმა კ. ს. ბავრიევმა, რომელმაც დაიარსა და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტს, შექმნა ზღვრული მდგომარეობის კონსტრუქციების გაანგარიშების თეორია, რომელსაც საფუძვლად უდევს დინამიკური სეისმომედეგობის პრინციპი. სეისმომედეგობის ამ პრინციპს მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არა, საზღვარგარეთაც იყენებენ.

თბილისელი მეცნიერების მეთოდიკა გამოიყენეს ისეთი დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებზე, როგორიც არის ენგურის, ნურეკის, ჩირკეის ელექტროსადგურები, აგრეთვე ბამზინტიტუტის რეკომენდაციებს იყენებენ მოსკოვის ოლიმპიურ მშენებლობებზე.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა, რომლებმაც გააანალიზეს მიწისძვრების შედეგები, დაამუშავეს რაციონალური სეისმომედეგი კონსტრუქციები.

□

სურათზე: ინჟინერი ვლადიმერ სუხოლინინი ლაზერის დანადგარით ეწევა კვლევას.

ფ. ტრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხელოვნებისა და შრომის კავშირი

კულტურის მოღვაწენი — მუშაებს

თბილისი. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საზეიმოდ გაიხსნა კულტურულ-საგანმანათლებლო ლექტორიუმი „კულტურის თანამედროვე მიღწევები —მუშათა კლასს, მის ახალგაზრდა ცვლას“, რომელიც ხელოვნებისა და შრომის შთამბეჭდავ დღესასწაულად იქცა. ეს იყო დედაქალაქის საკარხნო რაიონის მშრომელთა ნამდვილად დაუვიწყარი შეხვედრა ხელოვნების მოღვაწეებთან, რომელმაც დამაჯერებლად დაადასტურა პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაკეთებული მოხსენების ერთ-ერთი დებულება: „მომდინარეობს ცხოველმყოფელი პროცესი... მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები სულ უფრო მეტად ეზიარებიან კულტურის ღირებულებებს“.

შეხვედრა გახდა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების გზაზე გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი, დადგენილებისა, რომელიც საბჭოთა შემოქმედებითს ინტელიგენციას უსახავს ახალ ამოცანებს — იცხოვროს პარტიისა და ხალხის ინტერესებით, იყოს დიდი აღმშენებლობითი შრომის აქტიური მონაწილე, ჩვენი დღეების მემატიანე. ეს დოკუმენტი გახდა სამოქმედო სახელმძღვანელო კულტურის მოღვაწეთათვის, რომლებმაც კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ ხელოვნებისა და შრომის კავშირი, პროპაგანდა გაუწიონ კულტურის მიღწევებს მასებში, შექმნან ხალხის თავდადებული შრომის, მისი ჰეროიკის ამსახველი ნაწარმოებები. საბოლოო ანგარიშით ხომ ხელოვნების მოღვაწეთა მთელი ცხოვრება მშრომელ დადამიანს ეძღვნება, და ამ მაღალ მოქალაქეობრივ მისიას კულტურის მუშაკები მხოლოდ მაშინ შეასრულებენ, თუ მასები მათ გაუგებენ და აღიარებენ.

ლექტორიუმის გახსნის ინიციატორი გახდა ქალაქის საკარხნო რაიონი. საღამოზე გამოვიდა პარტიის საკარხნო რაიონის პირველი მდივანი რ. გოგლიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ რაიონის მშრომელთა შეხვედრა ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან მთლიანად შეესაბამება იმ შემოქმედებითს ატმოსფეროს, რომელიც ჩვენს ქალაქში სუფევს. დიდი ხელოვნების ზიარება ჩვენი საზოგადოების აუცილებელი კომპონენტია ჩვენი თანამგზავრობა, უეჭველია, სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს: მუშებს დაეხმარება ბჭალამოუღლელად იმრომონ, უფრო საინტერესოდ და შინაარსიანად იცხოვრონ, ხოლო ხელოვნების მუშაკებს — შექმნან ჩვენი თანამედროვე მშრომელი დადამიანის მთელი სახე.

შთამბეჭდავად გაისმა ქართული საბჭოთა სცენის უხუცესის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის გამოსვლა.

მისი ბრწყინვალე ნიჭი ხომ ოთხ ათწლეულზე მეტია მაყურებლებს მაღალ ხელოვნებასთან შეხვედრის სიხარულს გვრის.

— ხალხისათვის სამსახური, — თქვა მან, — ჩვენი საპატიო ვალია. ჩვენ უერთმანეთოდ ვერ ვიარსებებთ, თქვენ ხართ ჩვენი შთაგონების წყარო, თქვენგან ვსწავლობთ ცხოვრებას. თეატრისა და მაყურებლის თანამეგობრობის ტრადიციებს საქართველოში სახელოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ქართული საბჭოთა თეატრის გარიჟრაჟზე კოტე მარჯანიშვილი ასეთ კავშირს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან იგი მიაჩნდა ხელოვნების განვითარების, პიროვნების ჰარმონიული განვითარების ცხოველმოქმედ წყაროდ.

ამ აზრის გაგრძელება იყო საქართველოს კულტურის მინისტრის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ოთარ თაქთაქიშვილის სიტყვები:

— საბჭოთა ადამიანების სულიერი კულტურის ზრდა მათი ყოველმხრივი ესთეტიკური განვითარების აუცილებელი პირობაა. დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ასეთი კავშირი — ხელოვნებისა და შრომის კავშირი, რომლის დროს ყველას შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ არის შემოქმედი პიროვნება, რომ შეაქვს სიახლე თავის შრომაში, მთელი საზოგადოების შრომაში. უამისოდ წარმოუდგენელია ის საერთო სულიერი კულტურა, რომელიც საბჭოთა მშრომელს ჰარმონიულს ხდის. სწორედ ასეთი ადამიანია ჩვენი საზოგადოების მიზანი. სწორედ ამიტომაც, ვკითხულობთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სტრიქონებს, მასში ვპოულობთ იმ მთავარს, რაც უაღრესად საჭიროა ჩვენთვის ყოველდღიურ მუშაობაში, რაც ჩვენს წინაშე სახავს პერსპექტივას.

შემდეგ საქართველოს კომპარტიის საკარხნო რაიკომის პირველმა მდივანმა რ. გოგლიძემ და რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. იგი, კერძოდ, ითვალისწინებს მუშათა კლასის, მისი ახალგაზრდა ცვლის იდეურ აღზრდაში კულტურის დაწესებულებათა დახმარების გააქტიურების კონკრეტულ ღონისძიებებს, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებისათვის ყოველმხრივ დახმარებას, საღამო-კონცერტების ჩატარებას საუკეთესო საშემსრულებლო ძალების მონაწილეობით, ლექციებსა და საუბრებს ხელოვნების საკითხებზე. ხელშეკრულების დადებას დასწრენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტ. როსტიაშვილმა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ხაზი გაუსვა ამ დოკუმენტის მნიშვნელობას და თქვა: „დღეს ჩვენ დიდი და შთამბეჭდავი დღესასწაული გვაქვს. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან ურთიერთობას, მჭიდრო კავშირს მეოდა უდიდესი სიხარული მოჰქონდა მუშაკაცისათვის. გვჯერა, რომ კულტურის ოსტატები ყურადღებას არ მოაკლებენ ჩვენ შრომლიური ქარხნის გმირულ ისტორიასა და საქმეებს. ვიწვევთ მწერლებს, მსახიობებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, კინოს მოღვაწეებს. გამართეთ ჩვენთან ოქვენი ნაწარმოებების გამოფენები, გასინჯვა, განხილვა — ეს გამდიდრებს მუშებს და, იმედი გვაქვს, რომ ხელს შეუწყობს შემოქმედებაში ხელოვნების მოღვაწეებსაც.

თბილქალაქმშენის № 15 სამშენებლო ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტ. ქართველიშვილმა თქვა: მშენებლობა მშენებლობაა — აქ მუშაობა წინა პლანზე დგას, მაგრამ გვინდა, რომ ჩვენს მუშურ ცხოვრებაში მეტი ადგილი დაიკავოს ხელოვნებამ. რა ბევრ რამეს ნიშნავს ჩვენთვის საყოველთაოდ ცნობილი მსახიობის, მუსიკოსის, მომღერლის სტუმრობა! რაოდენ გვჭირდება ჩვენ, მშენებლებს, ეგრძნობდეთ ტალანტის შთამაგონებელ სიახლოეს!

ლექტორიუმის გახსნის დღეს ოპერისა და ბალეტის თეატრში, რომლის აღდგენაში დიდი მონაწილეობა მიიღეს საქარხნო რაიონის მშრომელებმა, გამოვიდნენ ქართული ხელოვნების საუკეთესო ოსტატები.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილის ახალი ნაწარმოები „საზეიმო უვერტიურა“ შეასრულა ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრმა, რომელსაც ავტორი დირიჟორობდა. იგი აყალიბდა ჩვენი გმირული დროის, მშრომელი ადამიანის ჰიმნად.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ამირანაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტები გ. საღარაძე და ო. მელვინეთუხუცესი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. უჩანეიშვილი, ლ. ჩიბალაშვილი, ჟ. ლოლაშვილი, თ. ჩანტლაძე და სხვები. ნაჩვენები იყო თბილისის თეატრების სპექტაკლების „ოდიპოს მეფის“, „ყაჯ

საერთაშორისო ცხოვრება
ტელეტაიპის ზურგზე

დიდი მადლობა საბჭოთა ადამიანებს...

ლონდონი, 11 ივნისი (საკ-დესის კორ). „აღფრთოვანებული ვარ საზოგადოებით, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ. იმედი მაქვს, რომ მთელი მსოფლიო იცლის თქვენი გზით. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, საბჭოთა ადამიანებო!“ ეს არის სსრ კავშირის ახლახან დამთავრებული ეროვნული გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი ჩანაწერიდან ერთ-ერთი, რომელიც თვალსაჩინოდ მოწმობს ინგლისელთა ინტერესსა და აღტაცებას იმის გამო, რაც მათ ნახეს. 23 მაისიდან 10 ივნისის ჩათვლით „ერლს-ორთის“ ერთ-ერთ უდიდეს დარბაზს გამოფენის მუშაობის დროს, რომელზეც წარმოდგენილი იყო 8 ათასი ექსპონატი, ეწვია დაახლოებით 140 ათასი კაცი. აქ მოდიოდნენ ოჯახები, მთელ ჯგუფებად, ჩამონელებს თქვენი ქალაქისადმი გულითადობისა და სიყვარულის გრძნობებს“, — განუცხადა საბჭოთა ბელორუსიის დედაქალაქის წარმომადგენლებს ნოტინჰემის მერმა დენის ბერკინშოუმ.

დაიხურა სსრ კავშირის გამოფენა ლონდონში

□

„გამოფენამ, უეჭველია, დიდი წარმატებით ჩაიარა, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მისმა დირექტორმა ბ. ვ. კოკორევმა. — დამთვალიერებელთა დიდ უმრავლესობაზე მან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, ინგლისის პრესის ზოგიერთი ორგანოს გულცივი „კორექტული“, ზოგჯერ კი აშკარა მიკერძოებული დამოკიდებულების მიუხედავად, რომლებიც ცდილობდნენ მიეჩუმათებინათ ეს დიდი მოვლენა ორი ქვეყნის ურთიერთობაში“.

გამოფენის დევიზი „მშვიდობა და პროგრესი თანამშრომლობის მეთხებით“ თვალსაჩინოდ იყო ხორცშესხმული მრავალი ექსპონატით, რომლებიც აშუქებდნენ ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

ის, რომ ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ნაყოფიერად ვითარდება ახლა, დაძაბულობის შენელების პირობებში, ცხადყო გამოფენის მუშაობის დღეებში მოწყობილმა „დამმობილებული ქალაქების დღემ“, რომელზეც შეხვდნენ დამმობილებული ქალაქების — მინსკისა და ნოტინჰემის დელეგაციები. ამ ქალაქებს მეიდრო კავშირურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან დაახლოებით 20 წელია. „დიდი მანძილი ვერ შეაგენლებს ნოტინჰემის მერმა დენის ბერკინშოუმ.

მუდამ ბევრი ხალხი იყო ბელორუსიისა და საქართველოს სს რესპუბლიკების განყოფილებებში. ამ რესპუბლიკების დღეებმა, რომლებიც გამოფენაზე მოეწყო, ინგლისელებს შესაძლებლობა მისცა გასცნობოდნენ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაყოფს. გამოფენის ფარგლებში გაიმართა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დღეები, რომელთა დროს გამოვიდნენ საბჭოთა მეცნიერები და სპეციალისტები. დიდი ინტერესი გამოიწვია ლექციებმა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, განათლების დარგში მდგომარეობისა და სხვათა შესახებ, რომლებიც ხშირად სალაგებლო დისკუსიებად იქცეოდა ხოლმე. ჩვენი ქვეყნის შესახებ ინგლისელთა ცოდნის გაფართოებას ხელი შეუწყო სსრ კავშირის შესახებ ფილმების ჩვენებამაც. ვრცელი კულტურული პროგრამის ფარგლებში გულთბილად შეხვდნენ ბელორუსიისა და საქართველოს შემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლებს.

სსრ კავშირის ეროვნულმა გამოფენამ ინგლისელებს შესაძლებლობა მისცა მიეღოთ ნამდვილი წარმოდგენა საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. „შესანიშნავი გამოფენაა, — ჩაწერა დამთვალიერებელთა წიგნში შეფილდლმა პიტ ვოუნმა. — დიდი მადლობა საბჭოთა ადამიანებს მშვიდობისა და კაცობრიობის განთავისუფლების საქმეში წვლილისათვის“.

ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა

სან-ფრანცისკო, 11 ივნისი, (საკდესი.) სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრა ვენაში იქნება ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს კომპანია „ოქსიდენტალ პეტროლიუმ კორპორეშნის“ პრეზიდენტმა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ ა. ჰამერმა. ორი დიდი ქვეყნის ხელმძღვანელები, აღნიშნა მან, ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, რომელიც იქნება უდიდესი ნაბიჯი გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის გზაზე, შესაბამება არა მარტო ჩვენი ქვეყნების ხალხთა, არამედ მთელი კაცობრიობის ინტერესებს, ჩვეულებრივ მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატი მოვალეა დაამტკიცოს ხელშეკრულება, ამას მოითხოვს უველა სალად მოაზროვნე ამერიკელი, თქვა შემდეგ ა. ჰამერმა. მან „სიხულელე“ უწოდა ომბადობლობის შენელების ამერიკელ მოწინააღმდეგეთა მტკიცებას მითიური „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ, იმის შესახებ, თითქოს „რუსების ნდობა არ შეიძლებოდეს“.

მოგავლის პერსპექტივები

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისათვის

□

საქართველოს სსრ საგარეოეკონომიკური საგაჭრო ურთიერთობის შემდგომი განვითარების, არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელების საკითხები განიხილა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაფართოებულმა თათბირმა. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, დიდი საწარმოების, საგგკომ, საფინანსო, მომმარაგებელი ორგანიზაციების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს ხელმძღვანელები, სამრეწველო მოწყობილობის ექსპორტის, მზა ნაწარმისა და ფართო მოხმარების საქონლის ექსპორტის, საექსპორტო საქონლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოების, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა ქვეგანაყოფების პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ.

თათბირის მონაწილეებმა აღინიშნეს, რომ საქართველოს სსრ საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების განვითარების საქმეში ამ ბოლო დროს დადებითი შედეგებია მიღწეული.

მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, რესპუბლიკიდან პროდუქციის ექსპორტის საქმეში არის ნაკლოვანებებიც. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა სიექსპორტო მიწოდების გეგმებისა და დავალებების შესრულების ჩაშლის ფაქტები.

როგორც თათბირზე აღინიშნა, ახლა ძირითადი ამოცანაა, რომ საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულმა ყველა ებანმა გამოძებნოს გამოუყენებელი რეზერვები და რაც შეიძლება სწრაფად აამოქმედოს ისინი, გააფართოოს რესპუბლიკის საექსპორტო პოტენციალი, სისტემატურად განახორციელოს საექსპორტო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებანი.

თათბირზე გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. ტ. გრიშინი.

თათბირმა მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები. (საქინფორმი).

ირანი

ელჩის განცხადება

თეირანი, 11 ივნისი. (საკდესი). ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ, განაცხადა აქ ფარსის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში ირანის ელჩმა საბჭოთა კავშირში მ. მოქრიმ. ირანში რევოლუციის შემდეგ ეს ურთიერთობა სავსებით ნორმალურად ვითარდება. ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთდამოკიდებულება, თქვა მან შემდეგ, კიდევ უფრო კონსტრუქციულად და ნაყოფიერად განვითარდება. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ დაადასტურა ირანის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოზიცია.

ირანის ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ მისი ქვეყანა ისწრაფვის გააფართოვოს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ყველა დარგში. ამასთან, თქვა მან, ჩვენს ქვეყანაში სწავლობენ ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს.

მდგომარეობა განაში

გენერალი ფ. აკუფო დანებდა ხელისუფალთ

□

ლაგოსი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც განდად იუწყებიან, განის სახელმწიფოს ყოფილი მეთაური გენერალი ფ. აკუფო დანებდა ქვეყნის ახალ ხელისუფლებს რევოლუციური საბჭოს ბრძანებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც იგი და წინანდელი რეჟიმის ხუთი კომისარი უნდა გამოცხადებულიყვნენ აკრის სამხედრო-საპაერო ბაზაში. ამჟამად იგი ამ ბაზაშია დაპატიმრებული.

როგორც განის გაზეთები აღნიშნავენ, დადასტურდა შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის ყოფილი კომისრის ა. ვუფეს უფლებამოსილებანი, რომელიც ამავე დროს სათავეში ჩაუდგება მრეწველობის სამინისტროსაც. მანამდე დაამტკიცეს წინანდელი მთავრობის ოთხი მინისტრის, მათ შორის საგარეო საქმეთა კომისრის გ. ა. ნიკოსა და ინფორმაციის კომისრის კ. აფრეს უფლებამოსილებანი.

როგორც აკრის რადიო იტყობინება, განის ახალმა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლა სამი თვით გადაიდება. ამასთან იუწყებიან, რომ პარლამენტის საყოველთაო არჩევნები, როგორც გათვალისწინებული იყო, 18 ივნისს გაიმართება.

ასეთ წიგნს რა დაეჯერება!

ანუ როგორ იძცა ცხვარი თხად

გაზეთ „კომუნისტის“ 1979 წლის 24 მარტის ნომერში გამოქვეყნდა აკადემიკოს ლ. პონტრიაგინის სტატია „ეთიკა და ართიმეტიკა“.

სტატიაში აღძრული საკითხები სცილდება მათემატიკის სფეროს და მეცნიერების სხვადასხვა დარგში არსებულ ზოგიერთ ნაკლოვანებათა მხილების და მათთან ბრძოლის პროგრამად გვევლინება. ამ ნაკლოვანებათა დაძლევის აუცილებლობაზე იყო ლაპარაკი სტუდენტთა აქტივის ამასწინანდელ რესპუბლიკურ კრებაზეც. იქ პირდაპირ ითქვა, რომ „თანამედროვე ცოდნის მხოლოდ ის ლექტორი იძლევა, რომელსაც თავად გააჩნია ასეთი ცოდნა. სამწუხაროდ, არის ფაქტები, როცა ზოგიერთი ლექტორი გუშინდელი ცოდნით აპირებს მეცნიერების დღევანდელ მწვერვალზე აიყვანოს ახალგაზრდობა. ამისაგან არაფერი არ გამოვა“.

საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობის კათედრის გამგის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ი. **მუჯირის** 1976 წლის ბოლოს გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელო **„სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა (ტექსტილური საქონელი)“.**

ჯნიშნული ნაშრომი იმდენად დაბალ დონეზეა შესრულებული, რომ დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის მისი რეკომენდება, ჩვენი აზრით, შეუწყნარებელია.

ი. მუჯირის სარეცენზიო ნაშრომი დაწერილია 10-25 წლის წინათ რუსულ ენაზე გამოცემული რამდენიმე სახელმძღვანელოს მასალების კომპილაციის წესით. კერძოდ, 380-გვერდიანი წიგნის დაახლოებით 200 გვერდი გადმოწერილია 1952 წელს გამოცემული სახელმძღვანელოდან: ნ. ა. არხანგელსკი და სხვ. „სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა“, ტ. 2. 1952; ხოლო 50 გვერდი ქიმიურ-ტექნოლოგიური უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელოდან, რომელიც 1957 წელს არის გამოცემული: ზ. ა. როგოვინი „ქიმიური ბოჭკოების წარმოების ქიმიისა და ტექნოლოგიის საფუძვლები“; წიგნის 30 გვერდამდე ავტორს შეუდგენია 15 წლის წინათ გამოცემული ი. მაზოვის და მ. ტალეზინის, აგრეთვე ი. აგაფონოვის ბროშურების მასალების კომპილაციით. განსახილველი სახელმძღვანელოს თითქმის 100 გვერდი დაბეჭდილია 1969 წელს გამოცემული სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობის დამხმარე სახელმძღვანელოდან, რომლის ავტორები არიან გ. პუგაჩოვსკი და ვ. სკლიანიკოვი.

მაგრამ კომპილაციაც არის და კომპილაციაც. სარეცენზიო წიგნისა და ზემოაღნიშნული ნაშრომების ტექსტობრივი შედარებით მტკიცდება, რომ ი. მუჯირის დამხმარე სახელმძღვანელო მთლიანად კომპილაციურ პლაგიატს წარმოადგენს.

წიგნში ვერ ნახავთ ვერც ერთ გვერდს, რომელიც მთლიანად ი. მუჯირის დამოუკიდებელი აზროვნების შედეგი იყოს, მაგრამ საქმე მარტო პლაგიატობა არ არის.

ავტორს, წიგნის მონტაჟის დროს, თითქმის სულ არ გაუთვალისწინებია სამრეწველო და, კერძოდ, საფეიქრო საქონლის საქონელმცოდნეობის კურსის პროგრამა, რის შედეგად ეს სახელმძღვანელო საქონელმცოდნეობის, ტექნოლოგიისა და ქიმიის საკითხებისადმი მიძღვნილი ერთმანეთთან დაუკავშირებელი თავებისა და პარაგრაფების რთულ კონგლომერატს წარმოადგენს. სახელმძღვანელოს სტრუქტურა სრულიად არ შეესაბამება სამრეწველო საქონელმცოდნეობის სწავლების თანამედროვე მეთოდიკას და პრაქტიკას. სახელმძღვანელო გადატვირთულია ქიმიისა და ტექნოლოგიის ისეთი საკითხებით, რომლებსაც საერთოდ არ ითვალისწინებს საფეიქრო საქონლის საქონელმცოდნეობის პროგრამა.

ამავე დროს სახელმძღვანელოში საერთოდ არ არის განხილული პროგრამით გათვალისწინებული ლითონის ძაფები და საქონელმცოდნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიც არის ქსოვილების ხარისხის დონის შეფასება, ხარისხის სახელმწიფო ატესტაცია, მოთხოვნები სახელმწიფო ხარისხის ნიშნით ატესტებულ პროდუქციაზე.

ტექნოლოგიური საკითხების განხილვას სახელმძღვანელოს 270 გვერდი უკავია, მაშინ როცა წმინდა საქონელმცოდნეობის საკითხები წიგნის მხოლოდ 110 გვერდზეა გაშუქებული.

სახელმძღვანელოში მოცემული 15 ცხრილიდან ი. მუჯირს მხოლოდ ოთხის წყარო აქვს მითითებული. დანარჩენის გამო ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავტორისეული იყოს. სინამდვილეში კი არც ერთი არ არის მისი. ყველა ცხრილი ზემოთ დასახელებული სახელმძღვანელოებიდან არის გადმოწერილი.

ცალკე გვინდა შევჩერდეთ სარეცენზიო წიგნში მოყვანილი ციფრობრივი მონაცემების საკითხზე. აქ ი. მუჯირი ისეთ მეთოდს მიმართავს, რომელიც კვალიფიციურ პლაგიატორსაც კი შეშურდებოდა. მხედველობაში გვაქვს ციფრობრივი მონაცემების განზრახ დამახინჯება. იმ მიზნით, რომ მკითხველს გაუჭირდეს პლაგიატის შემჩნევა, ი. მუჯირი ძველ წიგნებში მოყვანილ მონაცემებს უმატებს თვითნებურად შეთხზულ ზოგ „ახალ მონაცემს“, რომელთაც რეალურ მდგომარეობასთან საერთო არა აქვთ რა. ი. მუჯირს ასეთი მეთოდით შეუდგენია ციფრები წიგნის 5, 6, 97, 187, 315, 317, 327, 336, 355 გვერდებზე.

როგორც ჩანს, ავტორმა ან საერთოდ არ იცის შესაბამისი სტატისტიკური ცნობარების არსებობა და მათი გამოყენების წესი, ან ფიქრობს, სულ ერთია, არ დამსჯიანო, დარწმუნებულია, ვერავინ შეიდავება, შენიშვნებს ვერავინ მისცემს და ამიტომაც არავითარ სიყალბეს არ ერიდება.

განსაკუთრებით საყურადღებოა სარეცენზიო წიგნში საფეიქრო საქონლის სტანდარტიზაციის საკითხების გაშუქებისა და საერთოდ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენების მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ ავტორს თავის სახელმძღვანელოში ქსოვილებზე მოქმედი არც ერთი ნორმატიული დოკუმენტი არა აქვს მითითებული. წიგნში მოხსენიებული ხუთი ნორმატიული დოკუმენტიდან ყველა ბოჭკოებს და ძაფებს შეეხება, მაშინ როდესაც პირქით უნდა ყოფილიყო. საქონელმცოდნე, რომელსაც ურთიერთობა მზა ნაწარმთან, ამ შემთხვევაში ქსოვილებთან აქვს, პირველ რიგში ქსოვილებზე მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებს უნდა იცნობდეს. მაგრამ იმ ხუთი დოკუმენტიდან, სადაც ი. მუჯირს სახელმძღვანელოში აქვს მითითებული, წიგნის გამოცემის პერიოდისათვის არც ერთი არ მოქმედებდა. უფრო მეტიც, ამ ხნის განმავლობაში ეს დოკუმენტები რამდენჯერმე შეიცვალა, ხოლო ზოგი მათგანი საერთოდ გაუქმდა.

მოყვანილი მონაცემები ცხადყოფენ, თუ რა დონეზე იცნობს ი. მუჯირი სტანდარტიზაციის საკითხებს საერთოდ, და საფეიქრო საქონლის სტანდარტიზაციის საკითხებს, — კერძოდ. განსაკუთრებით ნიშანდობლივი ერთი ფაქტი: ი. მუჯირი 45-ე გვერდზე წერს: „სტანდარტ ВТУ 1259-51-ის შესაბამისად მოწმდება სელის ბოჭკოს სიგრძე მეტრობით, ბოჭკოს ჭიმვადობა და ლეგნინის შეცულობა პროცენტებით“. აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. ჯერ ერთი, დროებითი ტექნიკური პირობები (ВТУ), რომელიც 1951 წელს არის დამტკიცებული, როგორ შეიძლება მოქმედებდეს 1976 წლისათვის (მაშინ რაღა დროებითი დოკუმენტი იქნებოდა?), ხოლო მეორე მხრივ ВТУ სრულიადაც არ წარმოადგენს სტანდარტს. ი. მუჯირი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს ორ სხვადასხვაგვარ ნორმატიულ დოკუმენტს — სტანდარტს და ტექნიკურ პირობებს.

ეს კურიოზული ფაქტი შემთხვევითი შეცდომის შედეგი არ გახლავთ. ჯერ კიდევ 1974 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში— „სტანდარტიზაციისა და პროდუქციის ხარისხის კონტროლის საფუძვლები“ — ი. მუჯირი მე-11 გვერდზე სტანდარტების სახეობათა განხილვისას წერს: „...სტანდარტი ტექნიკური პირობების (ყოველმხრივ ტექნიკურ მოთხოვნათა ტექნიკური პირობა — ТУ და დროებითი ტექნიკური პირობა ВТУ)...“

ერთი სიტყვით, ი. მუჯირს ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია ტექნიკური პირობების სტანდარტი და ტექნიკური პირობები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა სახეობის ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტებია.

სტანდარტიზაციაში ასეთი ელემენტარული საკითხების უცოდინარობა არათუ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სტანდარტიზაციაში სახელმძღვანელოს ავტორს, ტექნიკუმის მოსწავლესაც კი არ ეპატიება.

სარეცენზიო წიგნში ავტორს შემოაქვს პარაგრაფი „მაღალპოლიმერული (დიდი) ქიმიის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი“. ამ საკითხის განხილვა არ არის გათვალისწინებული სასწავლო პროგრამით და სტუდენტებს სასარგებლოს ვერაფერს მისცემს. ამასთან, როდესაც ავტორს ასეთი პარაგრაფი შემოაქვს წიგნში, ცხადია, ეს საკითხები სათანადოდ უნდა იცოდეს. ვნახოთ, როგორია ი. მუჯირის ცოდნის დონე ქიმიის სფეროში.

წიგნის 71-ე გვერდზე ი. მუჯირი აბრეშუმის ბოჭკოს ქიმიურ შედგენილობას შემდეგნაირად ახასიათებს: „...იგი ხაზოვანი პოლიმერია, რომლის ცალკეული პოლიმერი წარმოადგენს გლიცერინის ნარჩენს. გლიცერინის ფორმულაა $NH_2—CH_2—COOH$“.

საშუალო სკოლის ორგანული ქიმიის კურსიდანაც კი არის ცნობილი, რომ ცილოვანი ნივთიერება სამატმიან სპირტს — გლიცერინს არ შეიძლება შეიცავდეს. აქ მოყვანილი ფორმულა გლიცერინის კი არ, ერთ-ერთი ამინომჟავას ფორმულაა, მაგრამ ი. მუჯირი, როგორც ჩანს, ასეთ შენაერთს არ იცნობს.

ელემენტარული ქიმიის საკითხების ასეთი კურიოზული უცოდინარობის ფაქტები სარეცენზიო წიგნში მრავლად არის (რად ღირს თუნდაც მოყვანილი ციტატის ფორმულირება — „პოლიმერი, რომლის ცალკეული პოლიმერი...“)! მაგალითად, 29-ე გვერდზე გაიგივებულია პენტოზა, პენტოზანები და გლუკოზის ნაშთები; 85-ე გვერდზე ერთმანეთშია არეული შარდოვანა, შარდმჟავა და მარილმჟავა; 98-ე გვერდზე ი. მუჯირი გვიმტკიცებს, ცილა კაზეინს არაქისისა და სოიისაგან იღებენო. 233-ე გვერდზე ერთმანეთშია არეული ბენზოლი და ბენზინი, შაქრები და ნახშირწყალბადები. წიგნში გვხვდება ისეთი ფორმულები, რომელთა შესაბამისი ქიმიური შენაერთები საერთოდ არ არსებობს, და სხვ.

სარეცენზიო წიგნის ორიგინალებთან ტექსტობრივი შედარებისას აღმოჩნდა, რომ ავტორი არათუ სტანდარტიზაციისა და ქიმიის საკითხებში ვერ ერკვევა ჯეროვნად, არამედ თვით საქონელმცოდნეობა და მისი ძირითადი ცნებებიც კი არ იცის. ამის დასამტკიცებლად მივიყვანთ ერთ მაგალითს. წიგნის 72-ე გვერდზე კვითხულობთ: „შეფარდებითი სიმკვრივე გამოხატ ული გამლეჯ სიმაგრეში ნედლი აბრეშუმის ძაფისა არის 25-30 კმ-ის ფარგლებში, ხოლო გამოხარშული აბრეშუმისა 32-36 კმ-ისა. დატვირთვა ნედლი აბრეშუმის ძაფისა 10 გ-მდეა, ხოლო გამოხარშული ელემენტარული ბოჭკოსი — 4 გ-მდე“.

ეს აბზაცი ი. მუჯირს გადმოწერილი აქვს ნ. ა. არხანგელსკის სახელმძღვანელოს 71-ე გვერდიდან.

მაგრამ აზრი ქართულ თარგმანში სრულიად დამახინჯებულია. ი. მუჯირი აიგივებს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ცნებებს: სიმაგრეს, სიმტკიცეს და სიმკვრივეს. ამასთან სიმაგრისა და სიმკვრივის საზომ ერთეულებად კილომეტრებს წარმოგვიდგენს. ასეთი კურიოზული ფაქტები წიგნის ნებისმიერ გვერდზე შეიძლება შეგვხვდეს. მაგალითად, 177-ე გვერდზე დროის საზომ ერთეულად ავტორი გრამძალას ასახელებს. წიგნში ძალიან ხშირად არის გაიგივებული თვისებები და მათი ფაქტორები, თვისება და ხარისხი, თვისება და მისი მაჩვენებელი. ავტორი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს საკაბე და სატანსაცმელე ქსოვილებს, ხშირად ერთიმეორეში ურევს ბოჭკოს და ძაფებს და ა. შ.

წიგნში აშკარა კურიოზებსაც ვხვდებით. 366-ე გვერდზე ავტორს **„профилированный вискозный шелк“** გაფილტრულ ვისკოზურ აბრეშუმად აქვს თარგმნილი, ხოლო **„портьерные ткани“** 325-ე გვერდზე სუროათების გასაკეთებელ ქსოვილებად არის გადმოთარგმნილი. ი. მუჯირს **„портьерные“** ალბათ **„портретные“** აგონა.

წიგნის 124-ე და 132-ე გვერდებზე ი. მუჯირი ამტკიცებს, თითქოს ქლორინის ბოჭკოს მედიცინაში ჭრილობების საკერავ ძაფად იყენებდნენ. იმედია, რომ მედიცინის მუშაკები ამას სერიოზულად არ მიიღებენ და პრაქტიკაში მის გამოყენებას არ შეცდებიან.

თავის სახელმძღვანელოს 51-ე გვერდზე ი. მუჯირი წერს: „ა. გ. ნატროშვილმა ანგორის ჯიშის თხის შეჯვარებით მერინოსისა და სხვა ჯიშის ცხვრებთან გამოიყვანა ახალი ჯიშის თხა, რომელიც იძლევა ნახევრად ნაზ მატყლს, ავრეთვე კარგ ხორცსა და სხვა პროდუქტებს“. სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ პატივცემული ა. ნატროშვილი აქ არაფერ შუაშია: ციტატაში მოყვანილი თხისა და ცხვრის შეჯვარების ფაქტი ჯერ მსოფლიო გენეტიკოსთვის მიუღწეველია და ეს „აღმოჩენა“ მთლიანად პროფესორ ი. მუჯირის დაუოკებელი ფანტაზიის ნაყოფია.

საბოლოოდ, როგორ უნდა შეფასდეს წიგნის საერთო დონე? რა არის ეს? მეცნიერების, სტუდენტების, მკითხველის დაცინვა და აბუჩად აგდება თუ უვიცობისა და უწიგნურობის აპოთეოზი? ალბათ ერთიცა და მეორეც. ასეთ სახელმძღვანელოს სტუდენტისათვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. ადვილი წარმოსადგენია, როგორ ლექციებს უკითხავს ასეთი სახელმძღვანელოს ავტორი სტუდენტებს.

როგორ მოხდა, რომ წიგნის რედაქტორებმა ნ. ცაგარელმა და გ. ნადირაშვილმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაუშვეს ასეთი წუნდებული წიგნის დაბეჭდვა?

თ. კოპალეიშვილი,
ნ. ხაბალაშვილი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატები.

კანადა

სერიოზული შეუფოთება

ოტავა, 11 ივნისი. (საკდესი). კანადის მშვიდობის დაცვის კონგრესი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს კანადაზე პენტაგონისა და ნატოს გაძლიერებული ზემოქმედების გამო, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ ეს ქვეყანა უფრო ფართოდ და აქტიურად მონაწილეობდეს შეიარაღების შემდგომი გადიდების კამპანიებში.

ორგანიზაციის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ კანადის წევრობა ორ სამხედრო ბლოკში — ნატოსა და ნორადში (ჩრდილოეთ ამერიკის საპაერო თავდაცვის კანადა-ამერიკის გაერთიანებული სარდლობა) — არ არის გამოწვეული ეროვნული უშიშროების ინტერესებით. კანადამ, ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში, ხელი მოაწერა ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტს, მან უფრო მტკიცედ უნდა იბრძოლოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის.

კანადის მშვიდობის დაცვის კონგრესმა თავისი განცხადება გამოაქვეყნა იმ დროს, როცა ამ ქვეყანაში ჩამოვიდა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ა. ჰეიგი. როგორც პრესა იუწყება, ამერიკელი გენერალი კანადაში იმ მიზნით ჩამოვიდა, რომ დაარწმუნოს ამ ქვეყნის ახალი მთავრობა, თითქოს საჭიროა სახელმწიფო ხარჯების გადიდება სამხედრო საჭიროებისათვის, მათ შორის ნატოს ხაზით.

საშიში, უგუნური ნაბიჯი

ვაშინგტონი, 11 ივნისი. (საკდესი). საოდ მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწენი, ამერიკის საზოგადოებრიობა გულისწყრომით გმობენ შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილებას შეუდგეს „მხ“ ახალი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის შექმნას და განლაგებას.

„რაკეტა მხ“ აშკარად შეტევითი სახეობის იარაღია, „რომელიც, სულაც არ ემსახურება „ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების განმტკიცებას, — აღნიშნა გამოქვეყნებულ განცხადებაში კონგრესმენი ტ. ვაისმა. — უფრო მეტიც, მისი განლაგების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება საფრთხეს უქმნის ამერიკის უშიშროებას იმიტომ, რომ იგი კიდევ ერთი ნაბიჯით გვიახლოვებს კატასტროფას“. კონგრესმენმა ხაზი გაუსვა, რომ შეერთებული შტატები გამალებული სტრატეგიული შეიარაღების ინიციატორია. „1970 წლიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდძალი ახალი სტრატეგიული რაკეტები განლაგა, — აღნიშნა მან, — ახლა ჩვენ ორჯერ მეტი ბირთვული საბრძოლო მუხტები გვაქვს, ვიდრე 1967 წელს გვქონდა“.

„მადლესპაბილზელი“ უწოდა მთავრობის გადაწყვეტილებას სენატორმა მ. ჰეტფილდმა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერისათვის გაგზავნილ წერილში მან აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების ამ რაკეტით შეიარაღება იქნება „ყველაზე საშიში ნაბიჯი, რომელიც ოდესმე გადადგმულა გამალებული შეიარაღების ისტორიაში“.

„გონივრული სამყაროს მომხრე მოქალაქეთა“ გავლენიანმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „სენინმა“ გამოქვეყნებულ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის ნაბიჯი „უგუნური და საშიშია“.



საზოგადოებრიობა პროტესტს აცხადებს

ამერიკის შეერთებულ შტატებში მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ქალაქ გროტონში (კონექტიკუტის შტატი). დემონსტრანტები მოითხოვდნენ, რომ პენტაგონმა შეწყვიტოს გამალებული შეიარაღება. მანიფესტაციის სამი ათასზე მეტი მონაწილე შეიკრიბა „ელექტრიზოტის“ ფირმის დოკებთან, სადაც იმ დღეს გაიმართა ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავის „ტრაიდენტის“ წყალში ჩაშვების ოფიციალური ცერემონიალი.

სურათებზე: (მარცხნივ) საპროტესტო დემონსტრაცია, რომლის მონაწილენი მოითხოვენ სამხედრო ხარჯების შემცირებას; (ქვემოთ) „ტრაიდენტის“ წყალში ჩაშვების დროს.

აპ-იუპი-საკდესის ფოტოები.

მოგზაურობა

ალეთ ნიგნს რა დაეჯერება!

ანუ როგორ იქცა ცხვარი თხად

ბაზელ ტურის ბოლო შეხვედრები მოეწყობა: „დინამო“ (მინსკი)-„შახტიორი“, ცსკა-„დინამო“ (კიევი), „ერილია სოვეტოვი“-„ზარია“, „დინამო“ (თბილისი)-„ტორპედო“. **საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის დინამოელები და მოსკოვის ტორპედოელები ერთმანეთს 78-ჯერ შეხვდნენ. აქედან დინამოელებმა მოიგეს 31 მატჩი, 21 შეხვედრა ფრედ დამთავრეს და 21 წაგეს. ბურთების შეფარდება—127:104 თბილისელთა სასარგებლოდ. შარშანდელ ჩემპიონატში დინამოელებმა ტორპედოსთან ერთი მატჩი წაგეს (0:1) და ერთიც ფრედ დამთავრეს (2:2).**

პირველ და მეორე ლიგებში

გაიმართა პირველი ლიგის

ანაფორის საფარველით

ერთი სასამართლო პროცესის გოლგოთა

„ შევიდა სახლსა შენსა, თაყვანის ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა“, ამოიკითხა მან ხუროთმოძღვრის მიერ სიონის კარიბჭეზე ამოკვეთილი სიტყვები და შიგ შევიდა. ბეკრმა ეს ნაბიჯი მის დიდ მორწმუნეობას მიაწერა. ამავე საბაბით მან უმალ მიიქცია სამღვდელოებისა და მორწმუნე საზოგადოების ყურადღება. უნივერსიტეტიდან აკადემიური ჩამორჩენის გამო გარიცხულს ზოგიერთმა მაამებელმა მამამ მცხეთის სასულიერო სემინარიაზე მიუთითა.

უშუამდგომლეს, მოაწყვეს, მაგრამ ერთ თვეში წინადადება მისცეს საერთო წესების დარღვევის გამო დაეტოვებინა სემინარია.

თითქოს აქ წერტილი უნდა დასმოდა ბიძინა კერატიშვილის სასულიერო კარიერას, მაგრამ...

იგი საპატრიარქოში მდივნად დაინიშნა. 1971 წლის 14 დეკემბერს კერატიშვილი ბერად აღიკვეცა და გაიოზი დაირქვა. სამი დღის შემდეგ იეროდიაკვნად, მეხუთე დღეს მღვდელ-მონაზნად აკურთხეს, ხოლო ბერად აღკვეცის წლისთავზე წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით იგი აყვანილ იქნა მღვდელმთავრად ეპისკოპოსის ხარისხით და მას წილკნის ეპარქიის მმართველობა ჩაბარდა. ისარგებლა რა კათალიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის ძმიმე ავადმყოფობით, კერატიშვილ მა მთლიანად აიღო ხელში საქართველოს ეკლესიის მმართველობა.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად სინოდის მიერ ურბნელი მიტროპოლიტის დავით მეხუთის არჩევის შემდეგ, ბიძინა კერატიკოს ძე კერატიშვილს მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა, ჩაბარდა სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრობა და იმ სემინარიის რექტორად დაინიშნა, საიდანაც ეს უმეცარი ისტორიკოსი საძრახისი საქციელისათვის გააძევეს.

ძალზე სწრაფად და საეჭვოდ განვითარდა ბიძინა კერატიშვილის აღმასვლა სასულიერო იერარქიის კიბეზე. ოცდათერთმეტი წლისა იგი საქართველოს მღვდელმთავარი მიტროპოლიტად მოევლინა.

რამ განაპირობა ყოველივე ეს: განათლებამ? არავითარ შემთხვევაში, რადგან ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებს უნივერსიტეტიც და მცხეთის სასულიერო სემინარიაც. მართლმორწმუნეობამ? სავსებით შესაძლებელია. მან იმ ანაფორიანი მამების გზა აირჩია, რომლებიც ღვთის სახელს შეფარებულნი არც თაღლითობას თაკილობდნენ, არც გამყიდველობას და არც ავაზაკობას. ბიძინა კერატიშვილმა, ასეთ ანაფორიან „მორწმუნეთა“ მსგავსად, მუხანათურად გაძარცვა ტაძრები, ხატს, რომელიც ძველი კულტურის იშვიათი ნიმუშია, პატიოსანი თვლები წარსტაცა და შავ ბაზარზე ვაჭრობა გაიჩაღა.

„მეყვსეულად მსაჯული იგი მოვიდეს და თვითოეულისა საქმენი განშიშვლდნენ“. და აი, გაშიშვლდა კიდეც ბიძინა ტიტიანის ძე კერატიშვილის სიონის ტაძარში შესვლის მიზანი. სწორედ მეყვსეულად დაადგინენ მას თავზე საიუველირო ვაჭრობის შემსყიდველ პუნქტში შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები. აქ მას წონის გარკვევის შემდეგ სამი ზურმუხტის თვალი (სახელმწიფო ღირებულება 17950 მანეთი) უნდა მიეყიდა გიორგი მნაცაკანის ძე თოფჩიანისათვის.

საიდან ჰქონდა ზურმუხტის თვლები?

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება და ამავე დროს ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა დაცვა მათი ვალი და მოვალეობაა. და აი, მანაც „ისარგებლა“, არათუ არ დაიცვა საეკლესიო განძი, არამედ დაიტაცა კიდეც იგი საქართველოს ეკლესიის საპატრიარქოდან, სიონისა და სვეტიცხოვლის ტაძრებიდან, ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიიდან, შიომღვიმისა და სამთავროს დედათა მონასტრებიდან, მცხეთის სასულიერო სემინარიიდან. მათ შორის ისეთი, როგორიც არის ტიხვინის ღვთისმშობლის ხატი, შემკული ზურმუხტის, ლალის, ალმასისა და მარგალიტის თვლებით. სწორედ ამ ხატს აართვა კერატიშვილმა ზურმუხტები გასაყიდად. მასთან ერთად ამოცნობილია და დატაცებულად იქნა დადასტურებული ხატები: ფერწერული წმინდა ნიკოლოზისა, სპილოს ძვლის წმინდა ღვთისმშობლისა, კვიპაროზის მაცხოვრისა და ილია წინასწარმეტყველის ამაღლებისა, წმინდანების დოდოს, ბიძინასა და ქეთევანის გამოსახულებებით, ვერცხლის მოოქრული დეისუსის ვედრებისა და ივერიის ღვთისმშობლისა: პაღალიები: ოქროსი, სპილოს ძვლის, პროცესზე იგი შეეცადა ჩვეული თვალმაქცობით დაეფარა ქუმარიტება, მოქალაქეთა თუ საეკლესიო პირთა ჩვენებებით, დაპირისპირებებით ნათლად გამოიხატა მისი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი. სწორედ მოწმეთა მიერ იქნა კერატიშვილი მხილებული, როდესაც იგი უტიფრად აცხადებდა, ესა და ეს განძი ეფრემ მეორემ, დავით მეხუთემ, და აწ გარდაცვლილმა სხვა პირებმა მაჩუქესო. შუბლის ძარღვიც არ შესტოკებია, როდესაც ერთ-ერთმა მღვდელმსახურმა მიახალა: — მეუფეო! განა არ იცოდით, რომ ეს ჯვარი ეფრემ მეორემ დაკარგა, ძალზედაც განიცადა და ქურდი შეაჩვენა კიდეცო?

— მე იგი ეფრემ მეორის გარდაცვალების შემდეგ ვიპოვე საპატრიარქოში იატაკზე. ამ ფაქტს ესწრებოდა დავით მეხუთეც და სწორედ მან მითხრა: შენ იპოვე და შენი იყოსო.

თუმცა ასევე „აჩუქეს“ ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მოსეგადებული ვერცხლის საეკლესიო, ქართული ოქრომჭედლობის დიდებული განძი და ნიმუში. საოცარია, მაგრამ, თუ დავუჯერებთ, მას სამი ათას მანეთად შეფასებული ხატი, წმინდანების დოდოს, ბიძინასა და ქეთევანის გამოსახულებებით, სანა გ ვ ე ზ ე უპოვია.

დიახ, შევიდა ტაძარში თვალთმაქცი და თაღლითი, აღვსილი მუხთლობით ქვეყნისა და ერის წინაშე. მორწმუნეობა მისი მოგონილი იყო, ანაფორა კი ქურქი იყო ცხვრისა, რომლის ქვეშ ბოროტი სული ბუდობდა.

სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთ ტომში ვკითხულობთ დახასიათებას: „...მიტროპოლიტი გაიოზი სამღვდელო ხარისხსა და მდგომარეობას იყენებდა არაკეთილსინდისიერად... სასულიერო იერარქიაში სარგებლობდა ცუდი რეპუტაციით. იგი არ მიაჩნდათ ეკლესიისათვის დადებით პიროვნებად. აშკარად გამოთქვამდნენ გაკვირვებას იმის გამო, რომ პატრიარქმა ეფრემ მეორემ იგი აიყვანა ეპისკოპოსის, ხოლო დავით მეხუთემ — მიტროპოლიტის ხარისხში. გარდა აღნიშნულისა, მიტროპოლიტი გაიოზი აწყობდა ინტრიგებს, დაჯგუფებებს სამღვდელოებაში და ამით ცდილობდა პირადი ინტერესებისათვის გამოეყენებინა საქართველოს სამოციქულო ეკლესია“.

და ეს კაცი წლების მანძილზე ეფარებოდა ანაფორას; ღვთისმსახურის სახელით მრავალ გულუბრყვილო, დაბნეულ ახალგაზრდას ატყუებდა. და იმ ხელს, რომელმაც შებღალა ხალხის წმიდათაწმიდა საგანძური, მოწიწებით კოცნიდნენ მლოცველნი, მონუსხულნი და მორთოლვარე გრძნობით, აღტყინებულნი შესცქეროდნენ ქურდ მღვდელს, მუხლს იყრიდნენ ანაფორიანი ბოროტმოქმედის წინაშე, თავიანთ გულისნადებსა და სულიერ საიდუმლოს უმხელდნენ ადამიანს, რომელიც მუხანათურად ღალატობდა არა მარტო მათ, არამედ საქართველოს ისტორიას, მის აწმყოსა და მომავალს.

არა გვგონია, საჭირო იყოს მტკიცება იმისა, თუ რა ხუხულას წარმოადგენს და რა ნიადაგი უდევს კერატიშვილისა და მისთანათა ქადაგებებს. „არა იქურდო“, — მოუწოდებდა იგი რელიგიური ბანგით გონებადაბინდულთ, „არა იქურდო“, — შთააგონებდა იგი ყოველ მლოცველს და ღვთის რისუფლებას აშინებდა სახარების ამ მცნების დამრღვევთ. მაგრამ ეს მას თავად როდი ეხებოდა, და აკეთებდა საპირისპიროს.

„გიყვარდეს მოყვასი შენი“, — ისმოდა მისი ღაღადი ტაძარში და ამავე დროს იგი ძარცვავდა იმავე მოყვასს.

ეს ადამიანები დღეს უდავოდ ხვდებიან, თუ ვის ენდობოდნენ და ვინ იყო მათი ღვთის ნდობით აღჭურვილი პირი მიწაზე.

საქმემან მისმან გამოაჩინა კერატიშვილი, და მრავალ მორწმუნეთაც თვალი აეხილა. ალბათ ისინი ახლა გულწრფელად ნანობენ თავიანთ შეცდომებს, მომავალში, იმედია, კიდევ უფრო კრიტიკულად შეხედავენ მოვლენებს და სწორ გზას აირჩევენ ცხოვრებაში.

* * *

თბილისის საქალაქო სასამართლო კოლეგიამ ალ. ალადაშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულებს: გ. ბერძენიშვილს, მ. გამცემლიძეს, პროკურორ ნ. ამბოკაძის, საზოგადოებრივი ბრალმდებლის, ცხუმაფხაზეთის მთავარი ეპისკოპოსის ნიკოლოზ მახარაძისა და ადვოკატ ვ. ველიაშვილის მონაწილეობით, სხდომის მდივნის ი. ილურიძის თანდასწრებით განიხილა კერატიშვილის სისხლის სამართლის საქმე და მიუსაჯა მას თხუთმეტი წლის თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია.

კერატიშვილის ბინაზე აღმოჩენილი ქონების საერთო ღირებულებამ შეადგინა 288 721 მანეთი, აქედან 100045 მანეთის ნივთები, ამოცნობილ იქნა როგორც საეკლესიო და ეკლესიასავე დაუბრუნდა, ხოლო დანარჩენებიდან ისეთები, რომლებიც ექსპერტიზის დასკვნით შეფასდა როგორც სამუზეუმო და აქვთ ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, გადაეცა საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმს, კერატიშვილის ბინაში აღმოჩენილი ძველი, იშვიათი ხელნაწერები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. კალისტრატე ცინცაძის შემოწირული 264 საეკლესიო წიგნი დაუბრუნდა სამპატრიარქოს, ხოლო სხვა წიგნები გადაეცა კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას. კერატიშვილს საკუთარი ავტომანქანა „გაზ-24“ კონფისკაცია ეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სასამართლომ გამოიტანა რამდენიმე კერძო განჩინება. ერთ-ერთ მათგანში აღნიშნულია, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებში სრულიად დაუცველია ქონება, რომელიც მეტ წილად უდიდესი კულტურულ-ისტორიული ღირებულების ხელოვნების ნაწარმოებებს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიებში არსებობს აღმასრულებელი ორგანოები, რომელთა თავმჯდომარეებსაც, რაიაღმასკომებთან არსებული რელიგიის კულტის ხელშემწყობ კომისიებთან ერთად უშუალოდ ეგალებათ ნივთების სწორი აღრიცხვა-დაცვა, ისინი ზშირად ამ მნიშვნელოვან საქმეს სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან, რის გამოც წლების მანძილზე სხვადასხვა ეკლესიიდან გატაცებულ იქნა უამრავი მატერიალური და კულტურული ღირებულებანი. აქ, აგრეთვე საპატრიარქოში და ეკლესია-მონასტრებში ფაქტიურად არ არსებობს საინვენტარიზაციო ჟურნალები და არ წარმოებს ნივთების ზუსტი აღრიცხვა.

კერძო განჩინებაში ასევე აღნიშნულია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების რაიაღმასკომების ზოგიერთი თანამდებობის პირი ყოველად უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ მეტად მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს.

ეკლესიებსა და მონასტრებში არსებული ქონების გატაცებას თავიანთ უკონტროლობით სხვადასხვა დროს ხელი შეუწყვეს აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულებმა საქართველოს რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ი. ყორდანიას თავმჯდომარეობით, წევრების ი. გოგიაშვილის, ო. გეგელესიანის, რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწის მ. დოლიძისა და ადვოკატ ვ. ველიაშვილის მონაწილეობით განხილა მსჯავრდადებულის საკასაციო საჩივარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში.

დიახ, საბჭოთა კონსტიტუციით ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, მაგრამ ამავე კონსტიტუციამ განსაზღვრა სამართლის ნორმები, რომელთა წინაშე ერთია ერი და ბერი. საბჭოთა კანონი მკაცრად სჯის ყველას, ვინც გაბედავს ხელყოს საერთო-ეროვნული კუთვნილება, ხალხის ისტორიულ-კულტურული საუნჯე.

მზაკვარსა და დამტაცებელს თავისი მიეზღო. რას იზამ, მიტროპოლიტს ახლა თვით „ყოვლისმიმტევებელმა უზენაესმაც“ ვეღარ უშველა.

კ. ამაღლობელი,
საქინფორმის კორ.

რედაქტორის მოადგილე
გ. გოგიაშვილი.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს 1979 წლისათვის სტუდენტთა მიღებას დღის დასწრებული სწავლების შემდეგ სპეციალობებსა და სპეციალიზაციებზე:

რომელიორაცია, მიწათმოწყობა.

1. მათემატიკა (წერა)*, 2. მათემატიკა (ზეპირი), 3. ფიზიკა (ზეპირი).

ე). მეღვინეობის ტექნოლოგია, დაკონსერვების ტექნოლოგია, სატყეო-სამეურნეო.

1. მათემატიკა (წ ე რ ა)*, 2. ფიზიკა (ზეპირი), 3. ქიმია (ზეპირი).

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ წერით გამოცდას: ქართულ სექტორზე — ქართული ენა და ლიტერატურა, ხოლო რუსულ სექტორზე — რუსული ენა და ლიტერატურა თხზულების სახით.

საშუალო სკოლის ოქროს (ვერცხლის) მედალოსნები, აგრეთვე საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიღებული აქვთ წარჩინების დიპლომები, აბარებენ მისაღებ გამოცდას მხოლოდ ერთ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით, აღნიშნულ საგანში შეფასება „ხუთის“ მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდებისაგან, ხოლო შეფასების — „ოთხი“ ან „სამის“ მიღების შემთხვევაში, აბარებენ გამოცდას ყველა შესაბამის საგანში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აგრონომიენირო, აგრონომიენირო მელიორაციის, აგროსაინჟინერო მეაბრეშუმეობის, აგროსაინჟინერო საკვებწარმოების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის (ქართული და რუსული სექტორების), მეცხოველეობის მექანიზაციის, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის, ჰიდრომელიორაციის, მიწათმოწყობის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და ორგანიზაციის, ბუღალტრული აღრიცხვის და სატყეო-სამეურნეო სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე, მედალოსნებისა და წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტების ჩარიცხვის შემდეგ, ორი საგნის ჩაბარებით ჩარიცხებიან ის პირნი, რომლებმაც საშუალო სკოლა, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები დამთავრეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით, ატესტატში (დიპლომში) არა აქვთ „დამაკმაყოფილებელი“ ნიშანი და ატესტატის (დიპლომის) საშუალო ქულა დამრგვალების გარეშე შეადგენს 4.5-დან 5.0 ქულას და პირველ ორ საგამოცდო საგანში მოაგროვებენ 9-10 ქულას, მაგრამ თუ ქულების ჯამი 9-ზე ნაკლებია, მაშინ ისინი აბარებენ ყველა საგამოცდო საგანს.

ზემოაღნიშნულ სპეციალობათა და სპეციალიზაციისათვის გათვალისწინებულია შემდეგი საგნების ჩაბარება.

1. აგროსაინჟინერო, აგროსაინჟინერო მეაბრეშუმეობა, აგროსაინჟინერო მელიორაცია, აგროსაინჟინერო საკვებწარმოება.

1. ფიზიკა (წერა), 2. ბიოლოგია (ზეპირი).

2. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები), მეცხოველეობის მექანიზაცია, მელიორაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, მიწათმოწყობა:

ა) მათემატიკა (წერა), ბ) მათემატიკა (ზეპირი).

3. სატყეო-სამეურნეო:

1. მათემატიკა (წერა), 2. ფიზიკა (ზეპირი).

4. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაცია, ბუღალტრული აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში:

1. მათემატიკა (წერა). 2. ბიოლოგია (ზეპირი).

მისაღები გამოცდები მოეწყობა პროგრამის შესაბამისად, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დამტკიცა 1979 წლისათვის.

საკონკურსო შერჩევა ინსტიტუტში შემსვლელთათვის იწარმოებს სპეციალობათა მიხედვით მისაღებ გამოცდებზე მიღებული ქულების საერთო რაოდენობისა და საშუალო განათლების დოკუმენტიდან ყველა დისციპლინის ფიზიკის საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

ინსტიტუტში ჩარიცხვისას, თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა მიეცემა სოფლად მუდმივად მცხოვრებელ, რომელთაც აქვთ არჩეული სპეციალობით პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, წარმოების მოწინავეებს, რომლებიც იგზავნებიან სასწავლებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1099 დადგენილების შესაბამისად და წარმოადგენენ ერთიანი ფორმის მომართვას.

განცხადება მიღების შესახებ უნდა შემოიტანოთ ინსტიტუტის რექტორის სახელზე ერთიანი ფორმის მიხედვით.

განცხადებას ერთვის: საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, რომელსაც იძლევიან საწარმოების (დაწესებულებების), ტექმეურნეობების, კოლმეურნეობა გამგეობები, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები; ბიოლ — ოგანასაგანმანათლებელო სოფლადმეურნეობენ ... ორგანიზაციებ ... ...